ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2167085

ნომერი: AR1332277

თარიღი : 04.08.2015

გაცემის თარიღი : 02.09.2015

გაცნობის თარიღი : 05.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შპს,,ჯუმბერ ბერაძე და კომპანია"-ს ობიექტის მიმდებარედ(ნაკვეთი 08/068)/ ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალგული ასათიანი პ/ნ 01025001551
- თბილისი,დ/დიღომი,ი.პეტრიწის9,ბინა 19

ორგანიზაცია:
- შპს "ჯ.ბერაძე და კომპანია" კოდი: 202453905

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების,

"დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1332277 ელექტრონულად ატვირთული განცხადება,რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში,დიდუბის რაიონი, ქუჩა ბელიაშვილი, შპს : ჯუმბერ ბერაძე და კომპანია"–ს ობიექტის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/068), მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკად. კოდი: №01.13.02.008.140) საზღვრების კორექტირებას ; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის,მდებარე ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონი, ქუჩა ბელიაშვილი, შპს : ჯუმბერ ბერაძე და კომპანია"–ს ობიექტის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/068), მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკად. კოდი: №01.13.02.008.140) საზღვრის გეგმის კორექტირება და სერვიტუტით 410,0კვ.მ–ით დატვირთვა სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია (იხ. დანართი).

ვინაიდან ცვლილების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა,სცილდება სამსახურის კომპეტენციას, თანდართული ესკიზის მიხედვით ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე შემდგომში უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.